სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18/07/2025

MES 3 25 0000889268

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლისა და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-20 და 21-ე მუხლების, უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმი N1-ის დადგენილება N6-ისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმი N14-ის დადგენილება N1 საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში არსებული ვაკანსიების შევსების მიზნით, 2025 წლის 07 აგვისტოს შემდეგ ფაკულტეტზე:

- ***განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*** - აკადემიური პერსონალის კვოტით 3 (სამი) ვაკანტურ ადგილზე;
- ***განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*** **-** სტუდენტის კვოტით 2 (ორი) ვაკანტურ ადგილზე.

2. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 21 ივლისიდან და დასრულდეს 2024 წლის 30 ივლისს (10 კალენდარული დღე)

3. კანდიდატთა განცხადებების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე;
4. განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო იაკაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
2. შორენა ლაზვიაშვილი - უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. მარიამი ღარიბაშვილი - განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

5. დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნებთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9. დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა